

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს  
ქალბატონ ნ. ჭ-ს  
მოსარჩელის ს. ქ-ს სარჩელთან დაკავშირებით  
საქმე N...

### სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად*

ქალბატონო ნ.,

2016 წლის 24 ნოემბერს ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ა. ა-მ განცხადებით მომართა საქართველოს სახალხო დამცველს და სთხოვა სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრების წარდგენა. განცხადების თანახმად, ორგანიზაცია იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ს. ქ-ს ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმეზე მოპასუხე არის საქართველოს მთავრობა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. დავის საგანი არის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებითა და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებით განსაზღვრული დღის ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მიერ მომსახურებით სარგებლობის დროს დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრა, ამ მიზნით ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება და ზიანის ანაზღაურება.

სახალხო დამცველს პატივი აქვს აღნიშნულ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (**Amicus Curiae**). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების სავარაუდო დარღვევასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სახალხო დამცველს არაერთხელ უმსჯელია და მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი, თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. წინამდებარე დოკუმენტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველი წარმოადგენს ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის ტესტს, ასევე ყურადღებას გაამახვილებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხსა და გონივრული მისადაგების პრინციპზე.

## 1. ფაქტობრივი გარემოებები

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ს. ქ-ს კანონიერი წარმომადგენელი ნ. ლ. არის მარტოხელა დედა. მის შვილს აქვს „მძიმე გონებრივი ჩამორჩენა ქცევითი აშლილობით, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას“ - დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორით განსაზღვრულია დიაგნოზი კოდით - F 72,1. 2010 წლიდან ს. ირიცხებოდა ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ სპეციალიზებულ დღის ცენტრში (შემდგომში დღის ცენტრი). 2014 წლიდან ს-ს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა - ბავშვს განუვითარდა იმპულსური ქცევები და იყო აღზნებულ მდგომარეობაში. დღის ცენტრის მულტიდისციპლინარულმა გუნდმა მიიჩნია, რომ ს-ს მდგომარეობის მართვა შეუძლებელი იყო დღის ცენტრის ბაზაზე ფსიქიატრიული სიმპტომატიკის განვითარების გამო, შესაბამისად, ოჯახი გადამისამართდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ს. 21 დღის განმავლობაში იმყოფებოდა. 2015 წლის გაზაფხულზე ს-ს მდგომარეობა უფრო მეტად გამწვავდა, მოიმატა იმპულსური ქცევების სიხშირემ და აგრესიული გახდა. ვინაიდან ბავშვის მდგომარეობის დამძიმების გამო ერთი აღმზრდელი ვეღარ ახერხებდა ს-ს ქცევის მართვას, ასევე მისი თვითდაზიანებებისგან და სხვა ბავშვების დაზიანებებისგან დაცვას, ს-ს დედას მოუწია სამსახურის დატოვება, რათა მთელი დღე დღის ცენტრში გაეტარებინა. შედეგად, ნ. ლ. დარჩა სამსახურის გარეშე, დაუგროვდა ვალი და ჩავარდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. მცდელობის მიუხედავად, ს-ს ქცევის მართვა ვეღარ ხერხდებოდა დღის ცენტრში არსებული ადამიანური რესურსით. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ორგანიზაციამ „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ შეწყვიტა ს-სთვის დღის ცენტრის მომსახურების მიწოდება და შესთავაზა ჩართულიყო ბინაზე მოვლის პროგრამაში. ნ. ლ-ს განცხადებით, ბინაზე მომსახურების პროგრამა ვერ ეხმარება ბავშვს განვითარებაში, ვინაიდან მას ფაქტობრივად შეეზღუდა სოციალურ გარემოსთან კონტაქტი.

სარჩელის თანახმად, ორგანიზაციამ „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ ვერ შეძლო ბავშვისთვის შესაბამისი დღის ცენტრის სერვისის მიწოდება ვინაიდან, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილების დღის ცენტრების ქვეპროგრამა, არ ითვალისწინებდა ს-ს მდგომარეობის მქონე ბავშვებისათვის უსაფრთხოების და ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფას. აღნიშნული ასევე არ იქნა გათვალისწინებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებაში. მოსარჩელე სარჩელით ითხოვს, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან აღმოიფხვრას დისკრიმინაცია რომელიც გამოწვეულია ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულების (სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამების დამტკიცების შესახებ 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილება და სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამების დამტკიცების შესახებ 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილება) მიღებით. სარჩელის

თანახმად, დადგენილება თანასწორ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ ბავშვებს, კერძოდ, ბავშვები, რომელთა დიაგნოზის თანახმად, ისინი ინტენსიურ ყურადღებასა და მკურნალობას საჭიროებენ, თანასწორ მდგომარეობაში აყენებს იმ ბავშვებთან მიმართებით, რომელთაც არ აქვთ მსგავსი დიაგნოზი და არ საჭიროებენ ინტენსიურ ყურადღებას და მკურნალობას. ს-ს დიაგნოზში ხაზგასმულია გაძლიერებული მეთვალყურეობისა და სამედიცინო მკურნალობის საჭიროება, რომელიც ზოგადად, ღრმა და მძიმე გონებრივი შეფერხების მქონე ბავშვებს როგორც წესი, არ ესაჭიროებათ. თუმცა, მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილება არ პასუხობს ამ კონკრეტული დიაგნოზიდან გამომდინარე ქცევის მართვის საჭიროებას - პროგრამა არ ითვალისწინებს ფსიქიატრის მომსახურებას, მუდმივ მკურნალობას და ზედამხედველობას. სერვისის ვერ მიწოდება კი იწვევს ს. ქ-ს რიგი უფლებების დარღვევას. დადგენილების არსებული რედაქციიდან გამომდინარე, იდენტურ სერვისი არის შეთავაზებული ქცევის მძიმე დარღვევის მქონე ბავშვებისთვის და ისეთი დარღვევის არმქონე ბავშვებს. შესაბამისად, თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, კერძოდ, ს-ს მსგავსი მდგომარეობის, ქცევის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე ბავშვებს - რომელთაც აღენიშნებათ თვითდამაზიანებელი და სხვათა დამაზიანებელი ქცევა და იმ ბავშვებს, რომელთაც ასევე გააჩნიათ ღრმა და მძიმე გონებრივი შეფერხება, თუმცა, არ აღენიშნებათ საკუთარი თავის და სხვათა დამაზიანებელი ქცევა და არ საჭიროებენ ფსიქიატრის მიერ გაწეულ მუდმივ მკურნალობას და ინტენსიურ ზედამხედველობას.

მოსარჩელე ასევე ითხოვს, საქართველოს მთავრობას დაევალოს, ს. ქ-ს მიმართ განხორციელებული ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრის მიზნით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა - დღის ცენტრის ქვეპროგრამის მოდიფიკაცია, რის შემდეგაც მოსარჩელეს საშუალება მიეცემა შეუფერხებლად მიიღოს დღის ცენტრის მომსახურება.

საქართველოს მთავრობის შესაგებლის თანახმად, სავარაუდო ირიბი დისკრიმინაცია სასამართლომ უნდა შეაფასოს რაციონალური შეფასების ტესტით და არა მკაცრი ტესტით. მოპასუხე არ ეთანხმება მოსარჩელის პოზიციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით თანაბარ მოპყრობაზე. კერძოდ, მოსარჩელე გამოყოფს ორ შესადარებელ ჯგუფს: ბავშვებს რომელთაც აქვთ ს. ქ-ს მსგავსი დიაგნოზი და საჭიროებენ ინტენსიურ ყურადღებას და ბავშვებს, რომელთაც აქვთ ანალოგიური დიაგნოზი, თუმცა აქვთ განსხვავებული ქცევა და არ საჭიროებენ ინტენსიურ ყურადღებას. მოპასუხის პოზიციის თანახმად, დასახელებულ ორივე ჯგუფს აქვს დიაგნოზი - მძიმე გონებრივი ჩამორჩენა და წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, შესაბამისად ამ ორ ჯგუფის დიფერენცირება ვერ ჩაითვლება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბ დისკრიმინაციად. მოპასუხის განმარტებით, მთავრობის 2016 წლის თებერვლის N102 დადგენილების 1.5 დანართით გათვალისწინებული დღის ცენტრების ქვეპროგრამის მიზანი არ არის სამიზნე ჯგუფების ყველა საჭიროებით, მათ შორის სამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილება. ქვეპროგრამის მიზანი ოჯახების

მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენციაა. ამასთან, ქვეპროგრამის ღონისძიებების ჩამონათვალი განსზღვრულია წინასწარ ამომწურავად. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილების 1.13 დანართით გათვალისწინებულ „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ ამოცანაა მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ბინაზე მოვლის მომსახურების მიწოდებით. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება 7-18 წლამდე ასაკის, ერთდროულად, არაუმეტეს 40 ბავშვისა ქ. თბილისში, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია/შეუსაბამოა დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა. შესაბამისად, მოპასუხე განმარტავს, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი აქტივობებიდან არც ერთი სამიზნე ჯგუფის ინდივიდუალურ საჭიროებებზე არ არის მორგებული. მოსარჩელის გარდა, შესაძლებელია სხვა პირებსაც ჰქონდეთ სხვა სახის საჭიროებები, რაც სცდება ქვეპროგრამის მიზნებს/ფუნქციას და წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული სხვა შესაბამისი წყაროებით დასაფინანსებელი ღონისძიების ამოცანას. სხვა საჭიროებების დაკმაყოფილების თაობაზე, მოპასუხე აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ნ. ლ-ს მონაწილეობით სამჯერ გაიმართა გაფართოებული შეხვედრა ს. ქ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლისა და მისთვის სათანადო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით. ს. ქ-ს ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და წარმოადგენს სოციალური დახმარების მიმღებს თვეში 110 ლარის ოდენობით, ოჯახი ასევე იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის სოციალური პაკეტით განსაზღვრულ თანხას - 180 ლარს. ამავე პროგრამის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ს. ქ-ს ოჯახს 2014 წელს გადაეცა საკვები, მაცივარი და საწოლი, სულ 996.37 ლარის ღირებულების. გარდა ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ნ. ლ-სთვის გამოყოფილი აქვს თანხა ბინის შესაძენად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაგებლის თანახმად, სარჩელი აღძრულია 3 თვიანი ვადის დარღვევით, რადგან სადაოდ არის ქცეული საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დ 2016 წლის 26 თებერვლის N102 დადგენილებები. 2016 წლის 11 აპრილს სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე სამინისტროს ექსპერტ-ფსიქიატრ პროფესორ დ. ზ-ს მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ მოცემულ ეტაპზე აღსაზრდელი ს. ქ., თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე უპირატესად საჭიროებდა ფსიქიატრიული მომსახურების მიწოდებას, რისთვისაც აუცილებელი იყო პერიოდული ჰოსპიტალიზაცია ფსიქიატრიული პროფილის სტაციონარში. მკურნალობის პროცესში, ს. ქ. წლების განმავლობაში იღებდა სხვადასხვა მედიკამენტს და მას მალევე უვითარდება მედიკამენტზე შეჩვევა, რითიც განპირობებულია

დანიშნულების ხშირი ცვლა. მესამე სტაციონირებისას (01.07.2016-22.07.2016), პაციენტს ჩაუტარდა რიგი გამოკვლევები და მკურნალობა. ბოლო სტაციონირებისას, კლინიკის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბავშვი იყო მოუსვენარი და იმპულსური, გამოირჩეოდა აგრესიული ქცევით. კონსილიუმის გადაწყვეტილებით, მას შეეცვალა დანიშნულება და გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა ბინაზე. შესაგებელში აღნიშნულია, რომ ჰოსპიტალიზაციის პერიოდში პაციენტი იმყოფებოდა დედის მუდმივი მეთვალყურეობის გარეშე. მოპასუხე აღნიშნავს, რომ პაციენტი სრულად იღებს სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. წლების განმავლობაში მოსარჩელე იყო დღის ცენტრის ქვეპროგრამის მოსარგებლე, რომლის მომსახურების შეწყვეტა მოხდა ს-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო და დედის განცხადების საფუძველზე. ამჟამად ის ჩართულია ბინაზე მოვლის ქვეპროგრამაში. 2014 წელს ს. ქ-ს ოჯახს გადაეცა საკვები, საწოლი, მაცივარი. მოსარჩელის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე, ოჯახი იღებს ბავშვისთვის სოციალური პაკეტით განსაზღვრულ თანხასა და დევნილობის შემწეობას. დღის ცენტრის ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, მოპასუხე განმარტავს, რომ მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს, თუ აქვს სურვილი და თუ ეს იქნება შესაძლებელი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. ამასთან, „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამით“ განსაზღვრული მომსახურება დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ბავშვის ჩართვის შემთხვევაში, შეწყდება დღის ცენტრი ვაუჩერის მოქმედების თვითდასრულებამდე.

## 2. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად:

*„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“*

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16<sup>1</sup> მუხლის თანახმად:

1. ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.
2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ

*წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი, ის მას არ განიხილავს.*

- 3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ის უფლებამოსილია გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება. ეს მოსაზრება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახოს.*
- 4. სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.*

საკითხის მაღალი მგრძობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

### **3. სამართლებრივი შეფასება**

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“<sup>1</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლების მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა მათი *დე ფაქტო* დისკრიმინაცია.<sup>3</sup>

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა **განსხვავებულობისადმი** პატივისცემა და მათი **აღიარება** ადამიანთა შორის არსებული **განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად**. შესაბამისად, კონვენციით აღიარებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს, საზოგადოება კი ვალდებულია პატივი სცეს ამ განსხვავებულობას. დისკრიმინაციის აკრძალვა არ წარმოადგენს პასიურ ვალდებულებას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური პოზიტიური ღონისძიებები რათა გამოასწოროს არათანასწორი გარემო.<sup>4</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას,

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 25

<sup>4</sup> Committee on the rights of the children, General Comment no. 14, Article 3 (1): the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration, 29/05/2013, § 41

ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ რაიმე კრიტერიუმს. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, საერთო პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელმაც გამოიწვია არაპროპორციულად მავნე შედეგი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ, შეიძლება ასევე ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, იმის მიუხედავად, რომ იგი არ ისახავდა ასეთ მიზანს და არ იყო უშუალოდ ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული.<sup>5</sup>

### ***3.1. მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეში***

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი განსხვავდება სხვა ტიპის სამართალწარმოების დროს გამოსაყენებელი წესისგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 ტერცია კარი განსაზღვრავს ნორმებს, რომლითაც სასამართლომ დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. ვინაიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის სპეციფიკა არ არის დარეგულირებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, შესაბამისად, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 ტერცია კარს.

უშუალოდ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად გადაწყვიტოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი, რათა გარანტირებული იყოს სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტის სწორი შეფასება.

კოდექსის 363<sup>3</sup>-ე მუხლის მიხედვით, პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. მსგავსი მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა

<sup>5</sup> ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175



ევროპულ სასამართლოს, რომლის განმარტებით, როდესაც მომჩივანი დავობს ირიბი დისკრიმინაციის არსებობაზე და ის წარმოშობს ვარაუდს, რომ გატარებული ღონისძიების ან პრაქტიკის ეფექტი არის დისკრიმინაციული, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხე სახელმწიფოზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ განსხვავება არ არის დისკრიმინაციული ხასიათის.<sup>6</sup>

*დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი* არ გულისხმობს მხარისთვის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის იმ მოცულობით დავალდებულებას, რაც საჭიროა შემდგომ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ვარაუდის წარმოსაშობად მნიშვნელოვანია მხარემ წარმოადგინოს იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და ობიექტური დამკვირვებლისთვის წარმოშობს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ვარაუდს რაიმე ნიშნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები წარმოშობს ირიბი დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდს. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს წარმოეშობა ასეთი ვარაუდი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup>-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცების ტვირთი გადავა მოპასუხე მხარეზე, კერძოდ, მოპასუხეს მოუწევს იმის მტკიცება, რომ N102 დადგენილებით განსაზღვრული წესი განპირობებული იყო ლეგიტიმური მიზნით, რომელიც არის მიზნის მიღწევის გონივრული და ობიექტური საშუალება.

### **3.2. კანონით გათვალისწინებული უფლება**

როგორც აღვნიშნეთ, დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას, თავდაპირველად საჭიროა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას შესაძლოა პირს ხელი შეშლოდა. მსჯელობის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დადგინდეს უფლების შეზღუდვის და არა მისი დარღვევის ფაქტი.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ვერ სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დაცული ჯანმრთელობის უფლებით, რეაბილიტაცია-აბილიტაციის უფლებით, განათლების უფლებით, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავისუფალი განვითარების უფლებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ

<sup>6</sup> ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 189

ყველა შესაბამის ზომას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

ამავე კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, მათ შორის, კოლეგიალური მხარდაჭერის გზით, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევისა და გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ორგანიზებას უკეთებენ, აძლიერებენ და განავრცობენ ყოვლისმომცველი სარეაბილიტაციო და სააბილიტაციო სამსახურებსა და პროგრამებს, კერძოდ, ჯანდაცვის, დასაქმების, განათლებისა და სოციალური მომსახურების სფეროში იმგვარად, რომ აღნიშნული სამსახურები და პროგრამები განხორციელებულ იქნეს მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე და ეფუძნებოდეს ინდივიდის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების მულტიდისციპლინურ შეფასებას.

ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. სახელმწიფოები ასევე აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში, ახალისებენ და უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვისათვის და მის მიმართ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ისეთი დახმარების გაწევას, როგორსაც ითხოვდნენ და რომელიც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების, ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

ბავშვის უფლებათა გაეროს კომიტეტის განმარტებით, კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ჩართულობის უზრუნველყოფა, მათ შორის განსაკუთრებით ხაზგასმულია ჯანმრთელობის უფლებისა და განათლების უფლების დაცვა.<sup>7</sup> კომიტეტი განმარტავს, რომ გაწეული დახმარება უნდა იყოს ბავშვის მდგომარეობის და გარემო პირობების ადეკვატური.<sup>8</sup> ამასთან, ბავშვის უფლებაა, ჰქონდეს მაღალი ხარისხის ჯანდაცვის პროგრამაზე ხელმისაწვდომობა. კომიტეტი ასევე მიმოიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზოგად მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ხშირად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ვერ სარგებლობენ ამგვარი პროგრამებით, რაც

<sup>7</sup> Committee on the rights of the child, General Comment no. 9, The rights of children with disabilities, Crc/C/Gc/9, 27/02/2007, § 11

<sup>8</sup> Committee on the rights of the child, General Comment no. 9, The rights of children with disabilities, Crc/C/Gc/9, 27/02/2007, § 12

დისკრიმინაციული მიდგომით არის გამოწვეული. ეს ასევე შეიძლება განპირობებული იყოს, იმით, რომ სახელმწიფოს არ აქვს ფოკუსირებული პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სპეციალურ საჭიროებებს.<sup>9</sup> კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა, რაც მოითხოვს პროფესიონალების ჯგუფის მიერ დახმარებას და მკურნალობას. ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია, ბავშვზე ზრუნვაში ჩართული იყოს სხვადასხვა პროფესიონალი, მაგალითად, ნევროლოგი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ორთოპედი ქირურგები, ფსიქოთერაპევტები და სხვა. საუკეთესო შემთხვევაში, ყველა ამ პროფესიონალმა უნდა შეაფასოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და შეადგინოს გეგმა, რომელიც ყველაზე ეფექტური იქნება ბავშვის განვითარებისთვის.<sup>10</sup>

როგორც სარჩელში და შესაგებლებში არის მითითებული, მოსარჩელის მდგომარეობა შეაფასეს პროფესიონალებმა. კერძოდ, შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელისთვის დღის ცენტრის პროგრამის მიწოდება არ იყო მიზანშეწონილი, რის გამოც მას უნდა ესარგებლა ბინაზე მომსახურებით. 2016 წლის 11 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე სამინისტროს ექსპერტ-ფსიქიატრის პროფესორ დ. ზ-ს მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ს. ქ. უპირატესად საჭიროებდა ფსიქიატრიული მომსახურების მიწოდებას. კონსილიუმის შეფასებით, მოსარჩელე ავლენდა აგრესიას, მას შეეცვალა დანიშნულება და გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა ბინაზე. მოპასუხე სამინისტროს შესაგებლის თანახმად, მოსარჩელე სრულად იღებს სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. დღევანდელი მოცემულობით, ს. ქ. მთელი დღის განმავლობაში არის სახლში და არ აქვს სხვა ადამიანებთან კონტაქტი.

### ***3.3. შესადარებელი სუბიექტი (კომპარატორი) და თანაბარი მოპყრობა***

დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორობს მოეპყროს თანასწორად და პირიქით.<sup>11</sup> ირიბი დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტის შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, რომელიც აკრძალული ნიშნით თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.<sup>12</sup> ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

Committee on the rights of the child, General Comment no. 9, The rights of children with disabilities, Crc/C/Gc/9, 27/02/2007, § 51

<sup>10</sup> Committee on the rights of the child, General Comment no. 9, The rights of children with disabilities, Crc/C/Gc/9, 27/02/2007, § 58

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539, II, 4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 5

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 2

საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული დაცული საფუძვლების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-14 მუხლის (თანასწორობის უფლება) აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განსხვავება მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის ან სტატუსის გამო.<sup>13</sup> ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ სტატუსს აქვს ფართო მნიშვნელობა და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ მახასიათებლებით, რომელიც არის პერსონალური და თანდაყოლილი.<sup>14</sup>

მთავრობის შესაგებლის თანახმად, მოსარჩელე გამოყოფს ორ შესადარებელ ჯგუფს: ბავშვებს, რომელთაც აქვთ ს. ქ-ს მსგავსი დიაგნოზი და საჭიროებენ ინტენსიურ ყურადღებას და ბავშვებს, რომელთაც აქვთ ანალოგიური დიაგნოზი, თუმცა აქვთ განსხვავებული ქცევა და არ საჭიროებენ ინტენსიურ ყურადღებას. მოპასუხე მიიჩნევს, რომ დასახელებულ ორივე ჯგუფს აქვს საერთო დიაგნოზი და მათ მიმართ მსგავსი წესის გავრცელება ვერ ჩაითვლება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბ დისკრიმინაციად. მოპასუხის განმარტებით, არ არსებობს დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი და შესადარებელი სუბიექტები, რადგან დასახელებული სუბიექტები ერთიანდებიან საერთო ნიშნის ქვეშ.

მოსარჩელე სარჩელში გამოყოფს ორ ჯგუფს, რომელთაგან ორივეს, მართალია, აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი, მაგრამ მათ შორის ასევე არსებობს განსხვავება. კერძოდ, მსგავსი დიაგნოზის მიუხედავად, მათ აქვთ რადიკალურად განსხვავებული ქცევა და აქედან გამომდინარე, საჭიროებები. გამოხატული ქცევა არის ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელი, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. შესაბამისად, შესაძლოა, სასამართლომ მიიჩნიოს, რომ ს. ქ-სა და მსგავსი დიაგნოზის მქონე იმ ბავშვებს შორის, რომელთაც ინტენსიური ყურადღება არ სჭირდებათ, არის განსხვავება, რაც ს-ს გამოხატულ ქცევაში ვლინდება.

### **3.4. თანაბარი მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულობა**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თანაბარი მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით შესაძლებელი იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, ანუ რეგულაცია რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ლეგიტიმური მიზნის

<sup>13</sup> ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 12/09/2016, § 68; *Eweida and Others v. the United Kingdom*, no. 48420/10, 15/01/2013, § 86

<sup>14</sup> ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 12/09/2016, § 78; *Clift v. the United Kingdom*, no. 7205/07, 13/07/2010, §§ 56-59

დაცვასა და უზრუნველყოფაზე. უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა.<sup>15</sup> დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტის შემდგომ ეტაპზე სასამართლო აანალიზებს, წარმოადგენს თუ არა უფლებაში ჩარევის ეს გზა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას და შესაძლებელი იყო თუ არა იმავე მიზნების მიღწევა უფლებაში ნაკლებად ინტენსიური ჩარევის გზით.<sup>16</sup>

მოპასუხის განმარტებით, მთავრობის 2016 წლის თებერვლის N102 დადგენილების 1.5 დანართით გათვალისწინებული დღის ცენტრების ქვეპროგრამის მიზანი არ არის სამიზნე ჯგუფების ყველა საჭიროებით, მათ შორის სამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილება. ქვეპროგრამის მიზანი ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენციაა. ამასთან, ქვეპროგრამის ღონისძიებების ჩამონათვალი განსაზღვრულია წინასწარ ამომწურავად. ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი აქტივობებიდან არც ერთი სამიზნე ჯგუფის ინდივიდუალურ საჭიროებებზე არ არის მორგებული. ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების თაობაზე, მოპასუხე აღნიშნავს, რომ 2014 წელს ს. ქ-ს ოჯახს გადაეცა საკვები, საწოლი, მაცივარი. მოსარჩელის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე, ოჯახი იღებს ბავშვისთვის სოციალური პაკეტით განსაზღვრულ თანხას და დევენილობის შემწეობას. დღის ცენტრის ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, მოპასუხე განმარტავს, რომ მოსარჩელეს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს, თუ ეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება.

აქედან გამომდინარე, მოპასუხე მიუთითებს, რომ ქვეპროგრამები არ არის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული და ასახელებს პროგრამების კონკრეტულ მიზნებს - ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია. დისკრიმინაციის ტესტის თანახმად, ამ ეტაპზე უნდა შეაფასდეს, რამდენად მიიღწევა სადავო დადგენილების მიზნები მოსარჩელესთან მიმართებით, რომელიც არის დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების ბენეფიციარი, თუმცა, პრაქტიკულად, ვერ სარგებლობს დადგენილებით, მათ შორის, მისთვის მინიჭებული სიკეთეებით. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, ს. ქ-სთვის გამიზნული ბინაზე მომსახურების პროგრამის მეშვეობით არის თუ არა შესაძლებელი მიზნის მიღწევა - ოჯახის მხარდაჭერა და ბავშვის მიტოვების პრევენცია. მოპასუხე ასევე მიუთითებს, რომ ს-ს ოჯახს გადაეცა სხვადასხვა ნივთები და შემწეობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასდეს, მოპასუხის მიერ დასახელებული უკვე განხორციელებული ღონისძიებები თუ იყო საკმარისი და თუ უზრუნველყოფდა ბავშვის უფლებების სრულ რეალიზებას. დღის ცენტრის პროგრამით სარგებლობასთან მიმართებით, მოპასუხე აღნიშნავს,

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 26

რომ თუ ს. ქ-ს მდგომარეობა იქნება დამაკმაყოფილებელი, ის ჩაერთვება პროგრამაში. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი პოზიციიდან არ ირკვევა, აპირებს თუ არა სახელმწიფო ს. ქ-ს უფლებების რეალიზების მიზნით დამატებითი ღონისძიების გატარებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.<sup>17</sup> დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არც ერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე.<sup>18</sup>

- *მკაცრი შეფასებისა და რაციონალური დიფერენციაციის ტესტები*

საქართველოს მთავრობის შესაგებლის თანახმად, სავარაუდო ირიბი დისკრიმინაცია სასამართლომ უნდა შეაფასოს რაციონალური შეფასების ტესტით და არა მკაცრი ტესტით. ვინაიდან მოპასუხე მხარე თავის პოზიციაში მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებულ დისკრიმინაციის გამოსავლენ ტესტებზე, სახალხო დამცველი მოკლედ მიმოიხილავს აღნიშნულ ტესტებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დისკრიმინაციის შეფასებისას იყენებს განსხვავებულ ტესტებს. კერძოდ, მე-14 მუხლთან მიმართებით სასამართლო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს *მკაცრი შეფასების ტესტით* ან *რაციონალური დიფერენციაციის ტესტით*. განსხვავებულია მათი გამოყენების წინაპირობები და საფუძვლები. დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შეფასება მკაცრი ტესტით ფასდება, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება ისეთ ნიშნებს, რომლებზე დაყრდნობითაც ისტორიულად ხშირი და ძალზე გავრცელებული იყო დისკრიმინაცია და რომლებიც ჩამოთვლილია კონსტიტუციაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნიშნებს, პირობითად კლასიკური ნიშნები უწოდა. მკაცრი შეფასების ტესტის დროს, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული მოპყრობის გამართლებისთვის სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესის არსებობის დემონსტრირება და ამ მიზნის მიღწევისთვის შერჩეული რეგულაციის ამავე მიზნებთან თანაზომიერების მტკიცება. მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს ასევე დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან,

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება #3/1/512, II, 60

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II, 27

რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს *მკაცრ ტესტს*, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში - *რაციონალური დიფერენციაციის ტესტს*, რომლის მიხედვით, საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.<sup>19</sup>

შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო *მკაცრი ტესტით* აფასებს თანასწორობის საკითხს, როდესაც დიფერენცირება ხდება „კლასიკური ნიშნით“ ან დიფერენცირების ინტენსივობა მაღალია. თუ დიფერენცირება ხდება „არაკლასიკური ნიშნით“ და ინტენსივობა დაბალია, სასამართლო ნორმის შეფასებისას იყენებს *რაციონალური დიფერენციაციის ტესტს*. მნიშვნელოვანია ამ ორი ტესტის გამიჯვნა, რადგან მოპასუხეს განსხვავებული მტკიცების ტვირთი ეკისრება. მკაცრი ტესტის შემთხვევაში მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობდა სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი, რაციონალური ტესტის გამოყენების შემთხვევაში კი მოპასუხემ უნდა ამტკიცოს რაციონალური კავშირის არსებობა ლეგიტიმურ მიზანსა და სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას შორის.

- *გონივრული მისადაგების პრინციპი*

ზემოთ მითითებული მსჯელობა შეეხება შესაძლო ირიბი დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტს. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა მსჯელობა ასევე რელევანტური იყოს გონივრული მისადაგების პრინციპის შესახებ, რამდენადაც პრაქტიკაში ხშირად არის დავა, თუ კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას დისკრიმინაციის ამ ორი ფორმიდან რომელი მათგანი უნდა იქნეს გამოყენებული.

*უარი გონივრულ მისადაგებაზე* არის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს შეზღუდვის არმქონე ან სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, როდესაც გარემო თუ სერვისი ამ კონკრეტული ადამიანის საჭიროებებზე არ არის მორგებული. ადამიანის ინდივიდუალური საჭიროებებისადმი მისადაგება შესაძლოა აუცილებელი იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარემო ან სერვისი მისაწვდომია რომელიმე შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის, თუმცა, მსგავსი შეზღუდვის მქონე კონკრეტული ინდივიდისთვის, მისი შეზღუდვის თავისებურებიდან გამომდინარე, გარემო/სერვისი არ იყოს მისაწვდომი.

---

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 18; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539, II, 20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II-6

მოპასუხე განმარტავს, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი აქტივობები არც ერთი სამიზნე ჯგუფის ინდივიდუალურ საჭიროებებზე არ არის მორგებული. მოსარჩელის გარდა, შესაძლებელია სხვა პირებსაც ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროებები, რაც სცდება ქვეპროგრამის მიზნებს/ფუნქციებს და წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული სხვა შესაბამისი წყაროებით დასაფინანსებელი ღონისძიების ამოცანას.

გონივრული მისადაგების პრინციპი ასახულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციაში, რომლის რატიფიცირება საქართველოს სახელმწიფომ 2014 წლის 13 მარტს მოახდინა. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე“ მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, უარს გონივრულ მისადაგებაზე. *გონივრული მისადაგება* გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტის განმარტების თანახმად, როდესაც პირს აქვს განსაკუთრებული საჭიროებები და მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის მისაწვდომობის სტანდარტი, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება გონივრული მისადაგება. ამ პრინციპის განხორციელების პირდაპირი ვალდებულება აქვთ სახელმწიფოებს, თუ ეს არ იწვევს გაუმართლებელ ტვირთს/სიმძნელეს.<sup>20</sup> გონივრული მისადაგება გამოიყენება მაშინ, როდესაც კონკრეტულ ინდივიდს სჭირდება რაიმე უფლებაზე მისაწვდომობა კონკრეტულ ვითარებაში. გონივრული მისადაგების მიზანია მიაღწიოს ინდივიდუალურ სამართლიანობას იმ გაგებით, რომ თანასწორობის უფლება იყოს უზრუნველყოფილი, დაცული იყოს ადამიანის ღირსება, პიროვნების ავტონომია და ინდივიდუალური არჩევანის უფლება.<sup>21</sup>

სახელმწიფოების მიერ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან, რამდენადაც ევროპულმა სასამართლომ, თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც იცავს თანასწორობის უფლებას, ასევე გულისხმობს გონივრულ მისადაგების უფლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სასამართლო აღნიშნავს, რომ გონივრული მისადაგების მიზანი ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრაა, ამ პრინციპის დარღვევა კი დისკრიმინაციად მიიჩნევა.<sup>22</sup>

<sup>20</sup> CRPD, General comment No. 2, Article 9: Accessibility, 22/05/2014, § 25

<sup>21</sup> CRPD, General comment No. 2, Article 9: Accessibility, 22/05/2014, § 26

<sup>22</sup> ECtHR, *Çam v. Turkey*, no. 51500/08, 23/02/2016, § 65



#### 4. დასკვნა

განხილული სამართლებრივი სტანდარტებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უნდა წარმოშვას ვარაუდი, რომ მას შეეზღუდა ჯანმრთელობის, რეაბილიტაცია-აბილიტაციის, განათლების და თავისუფალი განვითარების უფლებები მისი გამოხატული ქცევის გამო, რის შემდეგაც, თავის მხრივ, მოპასუხე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ ნეიტრალური წესის გავრცელება მოსარჩელეზე განპირობებული იყო ლეგიტიმური მიზნით, ნეიტრალური წესის გამოყენება კი ასეთი მიზნის მიღწევის გონივრული და ობიექტური საშუალებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16<sup>1</sup> მუხლით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,